სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური დავალება

(პრეტენდენტმა წინამდებარე დანართი **არ უნდა ატვირთოს** ერთიან ელექტრონულ სისტემაში)

№		ტექნიკური მოთხოვნები მიკროავტობუსებზე
I	II	III
1	**სატრანსპორტო საშუალების კატეგორია (Vehicle category)**	M2 კატეგორია (პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
2	**ემისიის სტანდარტი (Emission standard)**	არანაკლებ ევრო V ემისია (პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
3	**გამოშვების წელი**	არაუადრეს **2021** წლისა (ყველა ავტობუსი უნდა იყოს ერთი მარკის და ერთი მოდელის)
4	**სიგრძე (Length)**	არაუმეტეს 6 970 მმ
5	**სიგანე (Width)**	უკანა ხედვის სარკეების ჩათვლით არაუმეტეს 2 500 მმ
6	**სიმაღლე (Height)**	არაუმეტეს 2 900 მმ
7	**ავტობუსის ფერი**	ლურჯი "მეტალიკი"
8	**სალონში უკანა მხარეს შიდა სიმაღლე (in cabin Rear cab height)**	არანაკლებ 1 880 მმ
9	**საჭე**	მარცხენა, რეგულირებადი, ჰიდრავლიკური გამაძლიერებლით აღჭურვილი საჭე.
10	**მგზავრების დასაჯდომი ადგილები (პლიუს მძღოლის დასაჯდომი) Passenger seats (+ driver's seat)**	არანაკლებ 17 დასაჯდომი ადგილი + 1 დასაჯდომი მძღოლისთვის.
11	**ტევადობა (მძღოლის დასაჯდომის გარეშე) Capacity (Excluding driver's seat)**	არანაკლებ 17 მგზავრი.
12	**ძრავი (Engine)**	დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავი, არანაკლებ ევრო V ემისიის სტანდარტის შესაბამისი. ტემპერატურის ქვედა ზღვარი, რომელზეც ადაპტირებული უნდა იყოს დაქოქვის სიტემა: არანაკლებ -20 ˚C
13	**ძრავის მოცულობა (Engine capacity)**	არაუმეტეს 3,0 ლიტრი.
14	**ძრავის სიმძლავრე (Engine power)**	არანაკლებ 130 ცხენის ძალა.
15	**საწვავის მოხმარება 100კმ-ზე (Fuel consumption per 100 km)**	• ქალაქში - არაუმეტეს 10 ლიტრისა; • შერეული/კომბინირებული - არაუმეტეს 9 ლიტრისა; • ქალაქგარეთ - არაუმეტეს 7,5 ლიტრისა.
16	**საწვავის ავზი**	საწვავის ავზის მოცულობა არანაკლებ 70 ლიტრისა.
17	**სიჩქარეთა გადაცემის კოლოფი (Transmission)**	მექანიკური სიჩქარის გადაცემათა კოლოფი, არანაკლებ 6 (ექვსი) სიჩქარე (წინ სვლის) და 1 (ერთი) სიჩქარე (უკუ სვლის)
18	**წამყვანი თვლები (Drive Wheels)**	წამყვანი თვლები შესაძლებელია იყოს როგორც წინა ასევე უკანა
19	**საბურავები და დისკები (Tires and wheels)**	16 ინჩიანი რკინის დისკებით და საბურავებით დაკომპლექტებული, ასევე თითოეულ ავტობუსს უნდა მოყვებოდეს თითო სათადარიგო საბურავი
20	**უსაფრთხოების სისტემები (Security systems)**	არანაკლებ 2 (ორი) უსაფრთხოების ბალიში (მძღოლის და წინა მგზავრის). ყველა სავარძელზე დამონტაჟებული სამწერტილოვანი უსაფრთხოების ღვედი.
21	**სისტემები (systems)**	ავტობუსს უნდა გააჩნდეს მოცურების საწინააღმდეგო სისტემა ABS. ასევე ავტობუსი აღჭურვილი უნდა იყოს საკურსო მდგრადობის სისტემით ESC ან/და ESP ან/და VSC.
22	**მგზავრთა ასასვლელი (Passenger entrances)**	ავტობუსს გვერდითა მარჯვენა მხრიდან უნდა გააჩნდეს მგზავრის ასასვლელი გასასრიალებელი კარი. ცენტრალური საკეტით.
23	**უკანა კარი**	უკანა ორფრთიანი კარი უნდა იღებოდეს 180 გრადუსით.
24	**მინები**	მძღოლის და წინა მგზავრის მინები უნდა იყოს ელექტრონულად გაღებადი. ყველა მინა უნდა იყოს 26-30%-ით დაბურული, უკანა მინა უნდა იყოს ფიქსირებული. ავტობუსს უნდა გააჩნდეს სპეციალური მინა ჩამტეხი ჩაქუჩი.
25	**უკანა ხედვის სარკეები (Rear-view mirrors)**	ავტობუსს უნდა გააჩნდეს ელექტრონურად რეგულირებადი უკანა ხედვის ორი გვერდითი სარკე, მოხვევის ინდიკატორებით. აგრეთვე წინ საქარე მინაზე უკანა ხედვის სარკე.
26	**სენსორები და მაშუქები**	ავტობუსს უნდა გააჩნდეს წინა და უკანა პარკინგ სენსორი, ასევე წინა ნისლსაწინააღმდეგო მაშუქები და ჰალოგენური

		მექანიკურად ან ავტომატურად რეგულირებადი მაშუქები. ავტობუსის უკანა ამაღლებულ ნაწილში უნდა ქონდეს სდექ (სტოპის) ფარი.
27	**საქარე მინა (Windscreen)**	წინა საქარე მინა ცელოფნის წებოვანი გამყოფი შრით, ძარაში ჩაწებებული. საქარე მინის გამწმენდს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ორი სიჩქარის ფუნქცია გადამრთველით. საქარე მინის გამწმენდები გამძლე უნდა იყოს და შეკეთებისთვის მიღწევადი. გამრეცხ საცავს უნდა ჰქონდეს ტევადობა სულ მცირე 4 ლიტრი და უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი.
28	**იატაკი (Floor)**	ავტობუსის იატაკის საფარს უნდა გააჩნდეს მაღალი ელასტიურობის ფაქტორი კლიმატური პირობების მიმართ და უნდა იყოს დაცული ტექნიკური მარილის, ზეთის, საწვავისა და ხრეშის ზემოქმედებისაგან. იატაკი უნდა იყოს ბრტყელი და გლუვი ამოზნექილი ნაწილების, ბასრი კუთხეების და ელემენტების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მგზავრთა მარტივად გადაადგილებას.
29	**სახურავი და გვერდითი კედლები (Roof and side walls)**	ავტობუსის ჭერი და გვერდითა კედლები უნდა იყოს თბო-იზოლირებული.
30	**მძღოლის და მგზავრთა სკამები**	შემოთავაზებული ავტობუსის დასაჯდომები უნდა იყოს ანატომიური ტიპის. არ უნდა ჰქონდეს უხეში კიდეები. სკამების ჩარჩოები დამზადებული უნდა იყოს მეტალის ან მსგავსი გამძლე მასალისაგან რომელიც ხილვად (დაუცველ) ნაწილში შეღებილი იქნება შავად. დასაჯდომები და საზურგები დამზადებული უნდა იყოს ქარხნული წესით სტანდარტული დიზაინის და ფერის. მძღოლის სავარძელი უნდა იყოს არანაკლებ 4 (ოთხი) მიმართულებით მექანიკურად ან ავტომატურად რეგულირებადი. მძღოლის და წინა მგზავრის სავარძლებს უნდა ქონდეთ არანაკლებ 2 (ორი) მიმართულებით მექანიკურად ან ავტომატურად რეგულირებადი თავის მისაყრდნობები და მძღოლის სავარძელს უნდა გააჩნდეს იდაყვის ჩამოსადები.
31	**გათბობა / კონდიციერება (Heating / air conditioning)**	ავტობუსს უნდა გააჩნდეს მგზავრთა განყოფილების ინტეგრირებული კონდინცირება და გათბობა. ავტობუსის კონდინცირება გათვლილი უნდა იყოს თბილისის კლიმატურ პირობებზე (-15˚C - +45˚C). გათბობის სისტემამ უნდა უზრუვნელყოფდეს ავტობუსის მთლიან შიდა სივრცეში თბილი ჰაერის თანაბარ გადანაწილებას. აგრეთვე კონდინცირების სისტემა უნდა უზრუვნელყოფდეს ავტობუსის მთლიან შიდა სივრცეში ცივი ჰაერის თანაბარ გადანაწილებას.
32	**აუდიო მოწყობილობა**	ავტობუსს **სასურველია** გააჩნდეს AM/FMრადიო, არანაკლებ 2 (ორი) დინამიკი, და USB შესაერთებელი. აუდიოკონტროლი საჭეზე. (აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს დამატებით ოფციას და არ არის სავალდებულო)